საქართველოს მთავრობის

დადგენილება №21

2007 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტისა და მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე თანდართული დებულება.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ზ. ნოღაიდელი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 18 ივლისის დადგენილება №146-სსმ III, №103, 19.07.2007წ; მუხ.1119
2. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №283-სსმ III, №180, 20.12.2007წ; მუხ.1990
3. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის დადგენილება №66-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.481
4. საქართველოს მთავრობის 2008 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №200-სსმ III, №143, 30.09.2008წ; მუხ.1415
5. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 21 სექტემბრის დადგენილება №172-სსმ III, №115, 22.09.2009წ; მუხ.1316
6. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 სექტემბრის დადგენილება №292-სსმ III, №127,04.10. 2010წ; მუხ.1848
7. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №352 - ვებგვერდი, 28.09.2011წ.
8. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.
9. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №428 - ვებგვერდი, 22.11.2011წ.
10. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის დადგენილება №82 - ვებგვერდი, 12.03.2012წ.
11. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის დადგენილება №99 - ვებგვერდი, 26.03.2012წ.
12. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 მარტის დადგენილება №252 – ვებგვერდი, 26.03.2014წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების თაობაზე

მუხლი 1. დებულების მიზანი

დებულება განსაზღვრავს ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციის“ (CITES) დანართებში შეტანილი ველურად მზარდი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის (შემდგომში – ლიცენზია) გაცემის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო

ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოა საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბუნებრივი რესურსების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის დადგენილება №66-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.481
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.

მუხლი 3. ლიცენზიის გაცემის წესი

1. ლიცენზია გაიცემა, თუ სოჭის გირჩის, თერთყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების მოპოვება ხდება კომერციული მიზნით ექსპორტისათვის.

2. არასაექსპორტო მიზნით სოჭის გირჩის, თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების მოპოვება ლიცენზირებას არ ექვემდებარება.

3. ექსპორტისათვის სოჭის გირჩის, თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების მოპოვება არ საჭიროებს სარგებლობის ლიცენზიას იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტიორი პირის მიერ წლის განმავლობაში მოპოვებული სოჭის გირჩის საექსპორტო რაოდენობა არ აღემატება 5 კგ-ს, ხოლო თეთრყვავილას ბოლქვების ან/და ყოჩივარდას გორგლების საექსპორტო რაოდენობა – 50 ერთეულს.

4. ლიცენზია გაიცემა აუქციონის წესით. აუქციონი ტარდება ელექტრონული ფორმით ან მის გარეშე. აუქციონის ჩატარების ფორმაზე გადაწყვეტილებას იღებს სააგენტო. ელექტრონული ფორმით აუქციონი ტარდება სააგენტოს ინტერნეტგვერდის ან ინტერნეტგვერდის – www.eauction.ge-ს მეშვეობით.

5. აუქციონი ცხადდება სააგენტოს უფროსის ადმინისტრაციული აქტით, რომელიც უნდა გამოიცეს აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საფუძველია მაძიებლის განცხადება, რომელსაც სააგენტო იხილავს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, ან სააგენტოს გადაწყვეტილება.

6[1]. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე არსებობს ლიცენზიის გამცემის დასაბუთებული შუამდგომლობა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მიმართავს საქართველოს მთავრობას, აუქციონის გამოცხადებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღების მიზნით.

7. აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა აუქციონის გამართვის შესახებ ინფორმაციას სააგენტო აქვეყნებს ცენტრალურ პრესაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აუქციონი ტარდება ელექტრონული ფორმით – ასევე სააგენტოს ინტერნეტგვერდზე ან ინტერნეტგვერდზე – www.eauction.ge.

8. სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, ადგენს თეთრყვავილას ბოლქვებისა და ყოჩივარდას გორგლების მოპოვების კვოტას.

8[1]. სოჭის გირჩის მოპოვების დასაშვებ მოცულობასა და სოჭის გირჩიდან სოჭის თესლის გამოსავლიანობას ადგენს სააგენტო.

8[2]. სოჭის გირჩის ექსპორტისათვის ,,ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის“ ლიცენზიის მფლობელს მიენიჭოს უფლება ლიცენზიის მოქმედების პერიოდში სოჭის გირჩის მოპოვება განახორციელოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 2009 წლის სეზონისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში.

9. სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სააგენტომ შეიძლება დაადგინოს სარგებლობის რაოდენობრივი, თვისებრივი და დროში განსაზღვრული ნორმები და წესები, რომლებიც მტკიცდება სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. ამ დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით იქმნება მინისტრის სათათბირო საბჭო – სამეცნიერო ორგანო.

11. სამეცნიერო ორგანოს მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით.

12. აუქციონის გამართვის, გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის გაცემის წესს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ადგენს სააგენტო.

13. ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის მოწმობის ფორმას კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ამტკიცებს მინისტრი.

14. ლიცენზია გაიცემა ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შემოთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

15. აუქციონში გამარჯვებულმა ლიცენზიის გამცემის გადაწყვეტილებით აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შემოთავაზებული ფასის გადახდამდე, სალიცენზიო მოწმობის გაცემამდე შეიძლება განახორციელოს ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობა.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №283-სსმ III, №180, 20.12.2007წ; მუხ.1990
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის დადგენილება №66-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.481
საქართველოს მთავრობის 20010წლის 28 სექტემბრის დადგენილება №292-სსმ III, 127,04.10.2010წ; მუხ.1848
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №428 - ვებგვერდი, 22.11.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის დადგენილება №82 - ვებგვერდი, 12.03.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის დადგენილება №99 - ვებგვერდი, 26.03.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 მარტის დადგენილება №252 – ვებგვერდი, 26.03.2014წ.

მუხლი 4. ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი სააგენტოს წარუდგენს განაცხადს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. განაცხადს თან უნდა დაერთოს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.

მუხლი 5. აუქციონში მონაწილეობის მიღების წესი და პირობები

1. აუქციონის წესით ლიცენზიის გაცემაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ლიცენზიის ყველა მაძიებელს, რომელიც დააკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ სალიცენზიო პირობებს და იკისრებს ვალდებულებას შეასრულოს ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნები.

2. აუქციონში მონაწილეობის შესახებ განცხადება მიიღება აუქციონის გამოცხადებიდან არანაკლებ 15 დღის განმავლობაში. განცხადებების მიღების საბოლოო ვადას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს სააგენტო.

3. თუ ლიცენზიის მაძიებელი განცხადების წარდგენის ვადის დასრულებამდე უარს იტყვის აუქციონში მონაწილეობაზე, მის მიერ გადახდილი სალიცენზიო მოსაკრებელი ექვემდებარება დაბრუნებას. მოცემული ვადის დარღვევის შემთხვევაში სალიცენზიო მოსაკრებლის თანხა უკან დაბრუნებას არ ექვმდებარება.

4. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია გადაიხადოს ბე. ბეს ოდენობის განსაზღვრის, მისი გადახდისა და უკან დაბრუნების წესს ადგენს სააგენტო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის დადგენილება №66-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.481
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის დადგენილება №82 - ვებგვერდი, 12.03.2012წ.

მუხლი 6. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი

ლიცენზიის გამცემი არ გასცემს ლიცენზიას, თუ:

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული;

ბ) ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;

გ) ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.

მუხლი 7. აუქციონის საწყისი ფასი

აუქციონზე გამოტანილი ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვით, ადგენს სააგენტო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის დადგენილება №66-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.481
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის დადგენილება №82 - ვებგვერდი, 12.03.2012წ.

მუხლი 8. ლიცენზიის მოქმედების ვადა

1. ლიცენზია გაიცემა არა უმეტეს 20 წლის ვადით.

2. სააგენტოს, საქართველოს მთავრობის თანხმობით, უფლება აქვს, გააგრძელოს სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა. ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებისას, აგრეთვე მხარეთა შეთანხმებით (სააგენტო და შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი), შესაძლებელია ლიცენზიის პირობების შეცვლა (გარდა ნორმატიული აქტით დადგენილი პირობებისა) ან/და დამატებითი სალიცენზიო პირობების დადგენა.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 18 ივლისის დადგენილება №146-სსმ III, №103, 19.07.2007წ; მუხ.1119
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის დადგენილება №66-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.481
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.

მუხლი 8[1]. სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლი

ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს სააგენტო.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის დადგენილება №66-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.481
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.

მუხლი 9. სოჭის გირჩის ექსპორტი

კომერციული მიზნით სოჭის გირჩის ან სოჭის თესლის ექსპორტისას ექსპორტიორი ვალდებულია იქონიოს თავის სახელზე გაცემული ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და

„გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტს ახორციელებს არალიცენზიანტი, ის ვალდებულია იქონიოს ლიცენზიანტთან გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის“ ასლი.

მუხლი 9[1]. ლიცენზიის გაუქმება

ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს შესაბამისად სააგენტო ან სასამართლო.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის დადგენილება №66-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.481
საქართველოს მთავრობის 2008 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №200-სსმ III, №143, 30.09.2008წ; მუხ.1415
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.

მუხლი 9[2]. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 მარტის დადგენილება №66-სსმ III, №41, 19.03.2008წ; მუხ.481
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება №390 - ვებგვერდი, 17.10.2011წ.

მუხლი 10. გარდამავალი დებულება

1. სოჭის გირჩის ექსპორტისათვის „ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს მიენიჭოს უფლება 2008 წლის სეზონისათვის სოჭის გირჩის მოპოვება განახორციელოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ განსაზღვრული კვოტის ფარგლებში.

1[1]. სოჭის გირჩის ექსპორტისათვის ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩისა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელს მიენიჭოს უფლება, 2011 წლის სეზონისათვის სოჭის გირჩის მოპოვება განახორციელოს სალიცენზიო ფართობის გარეთ, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული კვოტის ფარგლებში.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ჩატარებული კვლევის შედეგად სამინისტროს მიაწოდოს ინფორმაცია 2008 წლის სეზონისათვის საქართველოს მთელ ტერიტორაზე არსებული სოჭის გირჩის კვოტის შესახებ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიცენზიატი რესურსით სარგებლობის დაწყებამდე ვალდებულია სამინისტროს მიერ განსაზღვრული კვოტით გათვალისწინებული თითოეული ტონა სოჭის გირჩისათვის (გარდა ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე არსებული რესურსისა) სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს თანხა სოჭის გირჩისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოსაკრებლის ორმაგი ოდენობით.

4. ლიცენზიის მფლობელის მიერ ჩატარებული კვლევის მასალებით წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიცენზიანტისთვის 2009 წლისათვის

სოჭის გირჩის მოსაპოვებელ კვოტას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო.

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 29 სექტემბრის დადგენილება №200-სსმ III, №143, 30.09.2008წ; მუხ.1415
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 21 სექტემბრის დადგენილება №172-სსმ III, №115, 22.09.2009წ; მუხ.1316
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 სექტემბრის დადგენილება №352 - ვებგვერდი, 28.09.2011წ.